პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
22 ოქტომბერი
1939 წ.
№ 243 (5643)
ფასი 10 კაპ.

ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის შეთანხმება

ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის შეთანხმება ურთიერთდახმარების შესახებ, რომლის ტექსტსაც დღეს ვაქვეყნებთ, წარმოადგენს სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტს. ამ შეთანხმებით ინგლისი და საფრანგეთი ვალდებულებას კისრულობენ გამოვიდნენ თურქეთის მხარეზე, თუ ევროპის სახელმწიფოს რაიმე მოქმედება ხმელთაშუა ზღვის აუზში გამოიწვევს ომს, რომელშიაც ჩაბმული იქნება თურქეთი. თავის მხრით თურქეთი ვალდებულებას კისრულობს გამოვიდეს ინგლისისა და საფრანგეთის მხარეზე იმ შემთხვევაში, თუ საომარი მოქმედება დაიწყო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. თურქეთი ვალდებულებას კისრულობს გამოვიდეს ინგლისისა და საფრანგეთის მხარეზე აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, თუ ეს სახელმწიფოები დაიწყებენ საომარ მოქმედებას მათ მიერ რუმინეთისა და საბერძნეთისათვის მიცემულ გარანტიებთან დაკავშირებით.

თურქეთი თავისუფლდება თავისი ვალდებულებებისაგან იმ შემთხვევაში, თუ მის გამოსვლას შეუძლია გამოიწვიოს ომი საბჭოთა კავშირთან.

ამჟამად დამთავრებული მოლაპარაკება, ერთის მხრით, ინგლისსა და საფრანგეთსა და, მეორე მხრით, თურქეთს შორის იყო გაგრძელება მოლაპარაკებისა, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე სწარმოებდა. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მაისში მიღწეულ იქნა პრინციპული შეთანხმება ინგლისსა და თურქეთს შორის, ხოლო ცოტა უფრო გვიან— საფრანგეთსა და თურქეთს შორის ურთიერთ თანამშრომლობის შესახებ ხმელთაშუა ზღვაზე ომის შემთხვევაში. ეს წინასწარი შეთანხმებანი ამჟამად მუდმივ შეთანხმებებად გადაიქცნენ.

ერთი შეთანხმების ხელმოწერიდან მეორე შეთანხმების ხელმოწერამდე გასულ დროში საერთაშორისო ვითარება ძლიერ შეიცვალა. ინგლისი და საფრანგეთი მეომარ ქვეყნებად გადაიქცნენ. ახალი ვითარების პირობებში ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის შეთანხმებას ურთიერთდახმარების შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

ინგლისისა და საფრანგეთის პრესა დიდი კმაყოფილებით შეხვდა თურქეთთან შეთანხმების ხელმოწერას, ხედავს რა ამაში მოკავშირეთა პოზიციების განმტკიცებას. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის ფაქტი, რომ ანკარაში, შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით, თურქეთის გენერალურ შტაბთან მოსალაპარაკებლად ჩავიდა საფრანგეთის ძალების სარდალი სირიაში გენერალი ვეიგანი და ინგლისის შეიარაღებულ ძალთა სარდალი ახლო აღმოსავლეთში გენერალი უეიველი.

თურქეთის სტრატეგიული მდგომარეობა სავსებით ცხადჰყოფს იმ ინტერესს, რომელსაც ინგლისი და საფრანგეთი იჩენენ მისდამი. მაგრამ არის ზოგიერთი გარემოება, რომელიც გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიის გეგმები თურქეთთან უშუალო შეთანხმებაზე შორს მიდიოდა.

ინგლისის პრემიერმა ჩემბერლენმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის მოლაპარაკება ფაქტიურად დამთავრებული იყო სამი კვირის წინათ და რომ შეთანხმების ხელმოწერა გადავადებულ იქნა იმ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, რომელსაც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შუქრუ სარაჯოღლუ აწარმოებდა მოსკოვში. ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ იყო იმედი ურთიერთდახმარების პარალელური ხელშეკრულების დადებისა სსრ კავშირსა და თურქეთს შორის. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან საბჭოთა კავშირისა და თურქეთის შეთანხმების პირობები შეუთავსებელი იქნებოდა ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თურქეთის ვალდებულებებთან.

ჩემბერლენის განცხადებიდან გამომდინარეობს, რომ ინგლის-საფრანგეთის დიპლომატია გარკვეულ იმედებს ამყარებდა საბჭოთა კავშირისა და თურქეთის შეთანხმებაზე. ინგლისისა და საფრანგეთის პრესა სწერდა, თითქოს ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის ხელშეკრულება წარმოადგენს „გამოცდას საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მეგობრობისათვის“. ყოველივე ეს უეჭველად ჰქმნის შთაბეჭდილებას, რომ არსებობდა რაღაც ვარაუდი უთანხმოება ჩამოეგდოთ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის. აშკარა ხდება, რომ იყო უნაყოფო ცდა, ერთის მხრით, სსრ კავშირსა და თურქეთს შორის და, მეორეს მხრით, ინგლისს, საფრანგეთსა და თურქეთს შორის პარალელური პაქტების დადების შემწეობით სსრ კავშირი ჩაებათ კომბინაციაში, რომელიც მიმართული იქნებოდა, უმთავრესად, გერმანიის წინააღმდეგ და ხმელთაშუა ზღვის აუზში ინგლისისა და საფრანგეთის ევენტუალურ მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირმა, რომელიც თავისი მშვიდობიანობისა და საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების უზრუნველყოფის პოლიტიკის ერთგულია, შესძლო დროულად და სწორად შეეფასებინა ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიური ნაბიჯი, რომელიც ემყარებოდა სპეკულაციის გაწევას თურქეთსა და სსრ კავშირს შორის არსებული ტრადიციული მეგობრობით. საბჭოთა კავშირის გარკვეულმა და მტკიცე პოზიციამ ჩაშალა იმათი „ოსტატური“ გეგმები, ვინც ცდილობდა კვლავ გაეღვივებინა მტრობა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

თავისთავად ცხადია, რომ ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის ახალი ხელშეკრულება ძალთა ახალ განწყობილებას ჰქმნის ხმელთაშუა ზღვაში. საბჭოთა კავშირი, რომელიც უდიდესი სახელმწიფოა შავ ზღვაზე, მოვალეა ყურადღებით ადევნოს თვალყური ყოველივე იმას, რაც დაკავშირებულია შავი ზღვის მისასვლელებთან.

ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის შეთანხმების დადება სსრ კავშირის უშუალო ინტერესებს არ ეხება.

ხელშეკრულებასთან დართულ ოქმში თურქეთის ვალდებულებანი სავსებით გარკვეულად არის განსაზღვრული. თურქეთი არ არის ვალდებული მონაწილეობა მიიღოს რაიმე მოქმედებაში, რომელსაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მისი ჩაბმა სსრ კავშირთან ომში.

ინგლის - საფრანგეთ - თურქეთის ხელშეკრულება საბოლოო ანგარიშით არ შეიძლება შეფასებულ იქნას როგორც მშვიდობიანობის იარაღი. იგი მოწმობს, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა ომის ორბიტში ჩაითრიეს თურქეთი. ამ ხელშეკრულებით თურქეთმა ვალდებულება იკისრა იომოს ინგლისისა და საფრანგეთის მხარეზე გერმანიისა და იტალიის წინააღმდეგ. ამბობენ, რომ სსრ კავშირმა შეიძლება წააგოს ინგლის-საფრანგეთის კოალიციასთან თურქეთის ასეთი კავშირის გამო. ეს, რასაკვირველია, მართალი არ არის. სსრ კავშირი არ ჩაბმულა ამ ბლოკში და შეინარჩუნა ნეიტრალიტეტი და მოქმედების თავისუფლება. ეს, რასაკვირველია, კარგია მშვიდობიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით. მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება თურქეთის შესახებ. მან იკისრა ისეთი პასუხისმგებლობა, რომელმაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს თურქეთის პოლიტიკაზე უახლოეს დროში. ყოველ შემთხვევაში, სსრ კავშირს არა აქვს საფუძველი სანანებლად მიიჩნიოს ის, რაც მოხდა.

„იზვესტიის“ მოწინავე, 21/X.

ჩაის ფოთლის დამზადება
კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში

(„საქჩაის“ 20 ოქტომბრის ცნობებით)

რაიონები	ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ტონობით	მოკრეფილია სულ სეზონის დაწყებიდან ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ოქტომბრის გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	1.705	1.712,1	100,4	128,4
ქობულეთი	7.848	7.916,9	100,9	134,6
გალი	3.128	3.491,6	111,6	65,9
ოჩამჩირე	1.793	1.843,9	102,9	63,4
სოხუმი	14	14,3	102,1	—
გუდაუთი	16	28,8	180	60
მახარაძე	10.011	10.168,6	101,6	97,3
ჩოხატაური	1.253	1.335,8	106,6	74,9
ლანჩხუთი	3.350	3.395,4	101,4	83,4
სამტრედია	261	300,3	115,1	101,3
წულუკიძე	1.151	1.271,2	110,4	120
ქუთაისი	132,8	154,4	114	60
წყალტუბო	184,2	224,4	124,8	80
ტყიბული	510	489,8	96,1	131,3
ცხაკაია	929	1.076,4	115,9	92,1
გეგეჭკორი	2.626	2.466,6	93,9	139,1
ზუგდიდი	4.881,4	5.114,8	104,8	48,6
წალენჯიხა	1.618	1.636,3	101,1	78.6
ჩხოროწყუ	1.302	1.379,7	106	63,1
ხობი	386	402,6	104,3	84,5
სულ 43.100	**44.420,4**	**103,1**	**95,6**	
შარშან 20/X იყო 35.000	32.948,1	94,1	346,3	

საბჭოთა კონტროლის კომისიაში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა საბჭოთა კონტროლის კომისიამ შეამოწმა, თუ როგორ იხარჯება სახსრები ოქტომბრის რევოლუციის XXII წლისთავის დღესასწაულის ჩასატარებლად. გამოვლინებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილებათა უხეში დარღვევა, რომლებიც აწესებენ ამ მიზნებისათვის სახსრების ხარჯვის ლიმიტებს.

რუსეთის სფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატში ოქტომბრის დღესასწაულების ჩასატარებლად უკვე დახარჯულია 8.466 მანეთი, მაშინ, როდესაც ამ ხარჯების ლიმიტი სახალხო კომისარიატისათვის დაწესებულია 1.500 მანეთის რაოდენობით. სახსრები დახარჯა ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილების უფროსმა ამხ. სერებრიაკომ, სახალხო კომისრის ამხ. უტკინის განკარგულებით, ამასთან სახალხო კომისარიატის მთავარმა ბუხჰალტერმა ამხ. გუროვმა ეს ხარჯები უკანონოდ მიაკუთვნა საწარმოთა დასაჯილდოებლად გაღებულ სახსრებს.

გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოში სამმართველოს უფროსის ამხ. ბარანოვის განკარგულებით დახარჯულია 12.699 მანეთი, მაშინ, როდესაც ლიმიტი 2.500 მანეთს უდრის.

მოსკოვის საქალაქო რადიო-სატრანსლაციო ქსელის სამმართველოში, ლიმიტით გათვალისწინებული 3.000 მანეთის ნაცვლად, დახარჯულია 12.849 მანეთი. თანხების ამ გადახარჯვის დასამალავად, დირექტორის მოადგილემ ამხ. ტიაგუნოვმა და მთავარმა ბუხჰალტერმა ამხ. სოსნოვიკოვმა ეს თანხა რადიომსმენელთა შორის მასობრივი მუშაობის ანგარიშს მიაკუთვნეს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა დარღვევისათვის საბჭოთა კონტროლის კომისიამ დამნაშავეთ სასჯელი დაადო. (საქდესი).

სმოლენსკის მშრომელების შეხვედრა წითელი არმიის მებრძოლებთან

სმოლენსკი, 20 ოქტომბერი (საქდესი). სმოლენსკში ჩამოვიდნენ მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დასავლეთი ბელორუსიისა და დასავლეთი უკრაინის ხალხთა პოლონეთის პანების უღლისაგან განთავისუფლებაში.

ანდრეევის სახელობის კლუბში მოეწყო საზეიმო შესახვედრი საღამო. თავი მოიყარა სმოლენსკის 1000-ზე მეტმა მუშამ და მოსამსახურემ.

პოლიტხელმა ამხ. კორისტელევმა და მეთაურმა ამხ. დემინმა დამსწრეთ უამბეს თვისტომი ძმების დამხმარე წითელი არმიის სახელოვანი საქმეების შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ შესრულდა ყოფილი პანების პოლონეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბელორუს და უკრაინელ ხალხთა განთავისუფლების ისტორიული ამოცანა.

— თუ პარტია მოგვიწოდებს, ჩვენ კვლავ მზადა ვართ ყოველ წუთს აღვდგეთ ლენინ-სტალინის საქმის დასაცავად, — განაცხადეს სახელოვანმა მებრძოლებმა.

ქალაქის მშრომელების სახელით მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მიესალმნენ რკინიგზელი ამხ. მაკაროვი და სხვები.

საღამოს მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისალმება ამხანაგ **სტალინს,** ამხანაგ **მოლოტოვსა და ვოროშილოვს.**

ქრონიკა

20 ოქტომბერს საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად-საკავშირო საზოგადოებაში მოხდა მიღება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩამოსული თურქეთის დელეგაციის პატივსაცემად. დელეგაციას მეთაურობს მიწათმოქმედების მინისტრი ბ-ნი მუჰლის ერქმენი.

მიღებას დაესწრნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. ფ. გორკინი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ი. ა. ბენედიქტოვი, მიწსახკომის კოლეგიის წევრი ამხ. მ. ი. მოისეევი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, თურქეთის საელჩოს წევრები ელჩის ალი ჰაიდარ აქტაის მეთაურობით, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად-საკავშირო საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე მწერლები, მსახიობები და კომპოზიტორები. (საქდესი).

○

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. **ტ. ა. სხირტლაძე.** (საქდესი).

წინასაოქტომბრო შეჯიბრება

საბჭოთა ნავთის მუშაკთა ახალი წარმატებებისათვის

ტრესტ „კიროვნეფტის“ კოლექტივის მიმართვა სსრ კავშირის ნავთის ყველა მუშაკისადმი

მოწინავე ტრესტ „კიროვნეფტის“ (ბაქო) მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა მოწოდებით მიმართა ნავთის მომპოვებელი მრეწველობის საწარმოთა ყველა სტახანოველ მუშას, მუშა ქალს, ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს.

— ჩვენ, საბჭოთა ნავთის მუშაკთა არმიის მებრძოლები, — სწერენ კიროველები, — ვიმყოფებით ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების უაღრესად პასუხსაგებ უბანზე.

ნავთის მუშაკთა მუშაობისაკენ არის მიპყრობილი მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღება. პარტია და მთავრობა, ჩვენი საყვარელი მამა და მასწავლებელი ამხანაგი **სტალინი** ყოველგვარ მზრუნველობას იჩენენ ნავთის მუშაკებისათვის, დახმარებას უწევენ ნავთის მრეწველობის ძველი რაიონების განმტკიცებას და ახალი რაიონების განვითარებას. ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის შექმნა წარმოადგენს ნავთის მრეწველობისა და ნავთის მუშაკებისადმი ყურადღებისა და მზრუნველობის ახალ გამოხატულებას.

თავიანთ მიმართვაში კიროველები აღნიშნავენ, რომ შექმნილია ყველა პირობა ნავთის მრეწველობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. ყველა ტრესტს სრული საშუალება აქვს არამარტო მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც შეასრულოს სახელმწიფო გეგმა. ამას ამტკიცებს ნავთის მოწინავე მუშაკთა გამოცდილება.

— ჩვენ, ტრესტ „კიროვნეფტის“ ნავთის მუშაკები, ისეთსავე პირობებში ვმუშაობთ, როგორშიაც ნავთის ყველა მუშაკი. ჩვენ ისეთივე ტექნიკური მოწყობილობა და ისეთივე შესაძლებლობანი გვაქვს, როგორც ყველა ტრესტს. და თუ ჩვენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავს დიდი გამარჯვებებით ვხვდებით, ეს შედეგია მთელი კოლექტივის შეუპოვარი და სისტემატური ბრძოლისა ნავთის გეგმისათვის.

ტრესტ „კიროვნეფტის“ ყველა სარეწამ წარმატებით დაამთავრა 1938 წელი. ნავთისა და გაზის მოპოვების წლიური პროგრამა ტრესტმა 102,8 პროცენტით შეასრულა. წელს მას პირველი ადგილი უჭირავს აზნავთმოპოვების ტრესტებს შორის. ნავთის ამოღების ცხრა თვის პროგრამა შესრულებულია 123,3 პროცენტით, ხოლო ოქტომბრის ცამეტი დღის განმავლობაში — 157,5 პროცენტით. ტრესტის წამყვანმა პირველმა სარეწამ ცხრა თვისა და თორმეტი დღის განმავლობაში გეგმა 187,2 პროცენტით შეასრულა, ამასთან თვითღირებულება 62 პროცენტით შეამცირა.

გასულ ცხრა თვეში ნავთის თვითღირებულება მთელი ტრესტის ხაზით, გეგმასთან შედარებით, შემცირებულია 15,8 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 11 პროცენტით.

ნავთის მაძიებელთა, გეოლოგთა და მბურღავთა გაბედული და ინიციატივიანი მუშაობის მეოხებით აღმოჩენილ იქნა ახალი ნავთიანი ფართობები ჩახნაგლიარსა, ბალაჯარასა და ჰაჯიჰასანში. ამან ტრესტს მისცა ნავთიანი ნაკვეთი, რომლის მანძილიც შვიდ კილომეტრს უდრის.

— გვახსოვს რა ამხანაგ სტალინის მითითება, — სწერენ ნავთის მოწინავე მუშაკები, — ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ახალი ტექნიკის დანერგვას.

ჩვენ საბურღავ კოშკებს ვაშენებთ მხოლოდმხოლოდ ლითონისას, სასწრაფო მეთოდით, კერშენბაუმის ამწის საშუალებით. წელს ჩვენ დავიწყეთ სატურბინო ბურღვის ათვისება. ტურბინების საბურღავებით გათხრილი ჭაბურღილების ნაწილი — ეს დიდი და მნიშვნელოვანი საქმის დასაწყისია. ღრმატუმბოვან ჭაბურღილებში, სადაც ქვიშის დიდი რაოდენობა მოიპოვება, ფართოდ ინერგება ტელესკოპური ტუმბოები.

ჩვენს მუშაობაში მნიშვნელოვნად გვიწყობს ხელს შინაგანი რეზერვების გამოყენება. პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის მეოხებით სარეწაოები და ბურღვის კანტორები შეიარაღებულია მოწინავე ტექნიკით და მათი მომარაგება ხდება ძვირფასი და ძვირად ღირებული მოწყობილობით. თვითეული მუშის მოვალეობაა უზრუნველჰყოს ამ მოწყობილობის ფრთხილი მოვლა, სწორად გამოიყენოს ყოველი მეტრი მილი, ყოველი დეტალი და მთელი არსებული მასალები და სამარაგო ნაწილები. ჩვენ გადამწყვეტი ბრძოლა გამოვუცხადეთ დაუდევრობას, მოწყობილობისადმი უკულტურო მოპყრობას.

ჩვენი საყვარელი სახალხო კომისრის ამხანაგ **ლ. მ. კაგანოვიჩის** ბრძანება № 191 ახალ უზარმაზარ შესაძლებლობას გადაშლის ბაქოს ნავთის მუშაკების წინაშე. ამ ბრძანების შესრულება ნავთის მრეწველობის მუშაობის გადამწყვეტი და დაუყოვნებლივი აღმავლობის საშუალებაა.

კოლექტიური დაჯილდოების სისტემის შემოღება წარმოადგენს ნავთის მუშაკებისათვის სტალინური ზრუნვის შესანიშნავ გამოხატულებას, ნავთის ახალი ნაკადებისათვის, მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლის მძლავრ სტიმულს.

სახელოვანი კრასნიპროლეტარელების გამოწვევის საპასუხოდ, ჩავებით რა სოციალისტურ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში, ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, მტკიცედ და განუხრელად გავატარებთ ცხოვრებაში ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანებას, რომელიც ნავთის ყველა მუშაკისათვის მოქმედების საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად ჩვენ ვკისრულობთ:

1. 1939 წლის 29 ოქტომბრის ვადამდე შევასრულოთ ნავთის მოპოვების წლიური გეგმა, გეგმის გადამეტებით მივცეთ ჩვენს ქვეყანას 250 ათასი ტონა ნავთი.
2. გეგმასთან შედარებით, 20 პროცენტით შევამციროთ ტონა ნავთის თვითღირებულება.
3. წლის დამლევამდე კაპიტალურად შევაკეთოთ და ავამუშავოთ 15 უმოქმედო ჭაბურღილი და დავამთავროთ 28 ჭაბურღილის თხრა.
4. უზრუნველვყოთ ჭაბურღილების ტექნიკურად სწორი ექსპლუატაცია ნავთის მომპოვებელ ყველა ბრიგადაში, ამასთან ფართოდ გამოვიყენოთ ამხ. სუგრა გაიბოვას მუშაობის გამოცდილება ყველა ჭაბურღილის ინდივიდუალურად მოვლის დარგში და ამ ჭაბურღილებში დავამყაროთ სწორი ტექნოლოგიური რეჟიმი.
5. 50-მდე გავადიდოთ გამოსაკვლევი ჭაბურღილების რაოდენობა IV კვარტალში.
6. 1 ნოემბრისათვის ყველა სარეწაოზე შევავსოთ მომამზადებელი ბრიგადები.
7. ჭაბურღილების კაპიტალურ რემონტზე მომუშავე ბრიგადების რიცხვი უმოკლეს ვადაში გავადიდოთ სამიდან ექვსამდე.
8. მივაღწიოთ ელექტროენერგიისა და სათბობის ხარჯვის 5 პროცენტით შემცირებას IV კვარტალში.
9. 1939 წლის 1 ნოემბრისათვის დავამთავროთ ტრესტისა და სარეწაოთა მთელი სამუშაო საზამთროდ მოსამზადებლად.
10. ცემენტიანი და მაგარი ქვიშიანი ქანების ბურღვის დროს გამოვიყენოთ მსუბუქი ტიპის ტურბომბურღავი. შემოვიღოთ სტრეინერები, ავტომატური მჭყვეტები საკომპრესორო ჭაბურღილებში მუშა-აგენტის პერიოდული მიწოდებისათვის.
11. IV კვარტალში მომუშავე მბურღავი დაზგების რიცხვი გავადიდოთ 14-დან 20-მდე. 1939 წლის დამლევამდე ტურბომბურღავის საშუალებით გავბურღოთ სულ ცოტა 6.200 მეტრი. დავამთავროთ ბურღვა ოთხ საძიებელ ჭაბურღილში. გათხრის სიჩქარე ტრესტის ხაზით გეგმასთან შედარებით გავადიდოთ 10 პროცენტით.
12. IV კვარტალში ბურღვისა და ნავთის მოპოვებისათვის მოვამზადოთ ათობით ახალი კვალიფიციური მუშაკები და სულ ცოტა ოცი კვალიფიციური ოსტატი ქალი.

კიროველები მოუწოდებენ ნავთის მუშაკთა მთელ არმიას ფართოდ გაშალონ წინასაოქტომბრო შეჯიბრება, რათა ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმები ნავთისა და გაზის მოპოვების დარგში, ნავთის ახალი ნაკადები მისცენ სოციალისტურ მრეწველობას, სოციალისტურ სოფლის მეურნეობას, გმირულ წითელ არმიას.

(„პრავდა“, 20 ოქტომბერი).

ლატვიის სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარის განცხადება

რიგა, 20 ოქტომბერი (საქდესი). გუშინ, საღამოს 6 საათზე, მოსკოვიდან დაბრუნდა ლატვიის სავაჭრო დელეგაცია ლატვიის სავაჭრო-სამრეწველო კამერის ხელმძღვანელის ა. ბერზინშის მეთაურობით. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში დელეგაციის თავმჯდომარემ ა. ბერზინშმა განაცხადა: „იმ მოლაპარაკებამ, რომელსაც აწარმოებდა მოსკოვში ლატვიის დელეგაცია სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შესახებ, კარგი შედეგები მოგვცა. 18 ოქტომბერს ხელმოწერილია ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის შეთანხმება სავაჭრო ბრუნვის შესახებ 1939-40 წლისათვის. მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის მხრივ ხელმძღვანელობდნენ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი მიქოიანი და მისი მოადგილე სტეფანოვი. საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორივე ხელმძღვანელის აქტიურმა მონაწილეობამ მოლაპარაკებაში უზრუნველჰყო მოლაპარაკების სწრაფი მსვლელობა ისე, რომ ადგილი არ ჰქონია აზრთა სხვადასხვაობას. უნდა აღინიშნოს, რომ მიქოიანი და მისი მოადგილე სტეფანოვი იჩენდნენ ლატვიის სამეურნეო პირობების სწორ და ღრმა გაგებას და სურვილს მეგობრულად დაეჭირათ მხარი ჩვენი მეურნეობის გადაუდებელ საჭიროებათათვის“. აღნიშნა რა, რომ შეთანხმება რამდენჯერმე გაადიდებს ეხლანდელ საქონელ-ბრუნვას, ა. ბერზინშმა განაცხადა: „ყველა წინა წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირთან ჩვენი სავაჭრო ბრუნვა ცხადჰყოფდა თუმცა ნელი, მაგრამ განუწყვეტელი ზრდის ტენდენციას. ომმა დასავლეთ ევროპაში გააძნელა ჩვენი კავშირი მრავალ ბაზართან. სამეურნეო კავშირის გაფართოება სახელმწიფოსთან, რომელიც ჩვენს საგარეო ვაჭრობაში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და რომელიც ისევე, როგორც ჩვენ, მშვიდობიანობასა და ნეიტრალიტეტს იცავს, ლოგიკური დასკვნაა ახლანდელ გარემოებათა მიხედვით. შეთანხმება უზრუნველჰყოფს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი სახის ნედლეულის მიღებას იმ რაოდენობით, რაც ჩვენი ბაზრის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. ჩვენ შევძლებთ აგრეთვე ამ შეთანხმების საფუძველზე გადიდებული რაოდენობით მივაწოდოთ საბჭოთა კავშირს ჩვენი საექსპორტო საქონელი და ამით უზრუნველვყოთ ნორმალური საექსპორტო წარმოება ჩვენს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში. განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ურთიერთგაგებისა და ურთიერთ ინტერესების ცნობის სულისკვეთება, რომლითაც აღნიშნული იყო მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკება. მიღწეული შეთანხმება უნდა განვიხილოთ არა მარტო როგორც მეტად მნიშვნელოვანი რამ სამეურნეო მხრივ, არამედ როგორც ახალი დამადასტურებელი ფაქტიც მეგობრული თანამშრომლობისა ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის“.

უკანასკნელი ცნობები

დასავლეთის ფრონტზე

ბრიუსელი, 20 ოქტომბერი (საქდესი). გაზეთი „პტი პარიზიენი“ 20 ოქტომბერს საომარი მოქმედების მიმოხილვაში სწერს: „გარდა ჯარის ნაწილების ერთგვარი გადაჯგუფებისა და ახალი ხაზების გასამაგრებლად წარმოებული მუშაობისა, რაც გამოიწვია წინათ დაკავებული პოზიციებიდან საფრანგეთის ჯარის უკან დახევამ, განსაკუთრებული რამ არაფერი არ მომხდარა. მტერმა მის მიერ დაკავებულ პოზიციებზე ახალი ტრანშეები გათხარა და დაიკავა ბლოკჰაუზები, რომლებშიაც 16 ოქტომბრამდე საფრანგეთის ჯარის სატყვიამფრქვევო ბუდეები იყო“. მიმოხილვაში შემდეგ ნათქვამია, რომ გერმანიის ჯარი პოზიციებს ამზადებს საფრანგეთის ახალი შეტევის შემთხვევისათვის. ორივე მხარემ დიდი დაზვერვითი ოპერაციები ჩაატარა, რაც საჭიროა ახალი პოზიციების დაკავებასთან დაკავშირებით. მაგრამ მოწინააღმდეგეთა მზვერავი ჯგუფები, ორი-სამი შემთხვევის გარდა, ერთმანეთის პირისპირ არ დამდგარან. უმნიშვნელო იყო აგრეთვე არტილერიის მოქმედება.

○

პარიზი, 21 ოქტომბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტო შემდეგ კომუნიკეს იუწყება: „21 ოქტომბერი, დილა. ღამემ მშვიდად ჩაიარა. შემჩნეულია პატრულების აქტივობა და მცირე საარტილერიო სროლა ორივე მხრიდან“.

საზღვაო ბრძოლა დანიის სანაპიროებთან

ლონდონი, 21 ოქტომბერი (საქდესი). ბრიტიშ იუნაიტიდ პრესის სააგენტო იუწყება, რომ 19 ოქტომბერს სკაგენის (დანია) დასავლეთით საზღვაო ბრძოლა მოხდა. როგორც ფიქრობენ, ბრძოლაში რამდენიმე დიდი სამხედრო გემი იღებდა მონაწილეობას.

საფრანგეთის საზღვრისპირა რაიონების ევაკუაცია

ლონდონი, 21 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო ლუქსემბურგიდან იუწყება, რომ ევაკუირებულია სოფელ მონდორფის ფრანგული ნაწილი და საფრანგეთ-ლუქსემბურგის საზღვარზე მდებარე მთელი ევრანჟის რაიონი. სოფელი მონდორფი მდებარეობს 14 მილის მანძილზე ტიონვილის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, ევრანჟი კი — ჩრდილოეთით, 8 მილის მანძილზე.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 21 ოქტომბერი (საქდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: საზღვრისპირა რაიონში, მოზელსა და საარბრიუკენს შორის მდებარე ფრონტის ცალკეულ უბნებზე შემჩნეულია გაცხოველებული საარტილერიო და დაზვერვითი მოქმედება. გუშინ მტერმა საარბრიუკენის დასავლეთით მდებარე ვარნდტის ტყეც დასტოვა ზედ საზღვრამდე. დასავლეთის ფრონტის დანარჩენ უბნებზე, არტილერიის ადგილობრივი სუსტი სროლის გარდა, არაფერი არ მომხდარა.

ძლიერი წვიმა რაინის ოლქში

ბერლინი, 21 ოქტომბერი (საქდესი). „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ კელნიდან იუწყება, რომ დიდი წვიმების გამო მდინარე რაინი ადიდდა და მთელ რაინის ოლქს წყალდიდობის საფრთხე მოელის. ბევრგან წყალმა უკვე დაჰფარა მდინარის ნაპირის მახლობლად მდებარე სარდაფები და შენობები. რაინის მდელოები დიდ მანძილზეა დაფარული წყლით. რაინის სანაპიროს ხაზის გარჩევა შესაძლებელია მხოლოდ წყალში ამოშვერილი ტელეგრაფის ბოძებით.

სომხური ხელოვნების დეკადის გახსნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ალმასტის“ წარმოდგენას დაესწრნენ ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი მ. ი. კალინინი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ანდრეევი გ. მ. მალენკოვი, მ. ფ. შკირიატოვი

20 ოქტომბერს სსრ კავშირის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში გაიხსნა სომხური ხელოვნების დეკადა.

პარტერი, ლოჟები, იარუსები გაჭედილია ხალხით. თეატრში იყვნენ სახალხო კომისრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, დიპლომატთა კორპუსის წევრები, მსახიობები, კომპოზიტორები, მუსიკოსები, მწერლები, მხატვრები, მუსიკის მცოდნენი, კრიტიკოსები და ჟურნალისტები.

ოპერისა და ბალეტის ა. ა. სპენდიაროვის სახელობის სომხურმა სახელმწიფო თეატრმა 20 ოქტომბერს დასდგა პირველი საოპერო წარმოდგენა „ალმასტი“. ამ ოპერის მუსიკა დაწერილია ცნობილი კომპოზიტორის მიერ, რომლის სახელსაც თეატრი ატარებს.

უაღრესად ხალხური მუსიკა მშვენივრად გადმოგვცემს ოპერის შინაარსს, გადმოგვცემს სომეხი ხალხის უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ მე-17 საუკუნეში წარმოებული ბრძოლის ჰეროიკას. ჩინებულად ჟღერს ორკესტრი (დირიჟორი გ. ე. ბუდაღიანი). ოპერის დადგმა ნიჭიერად აქვს განხორციელებული რეჟისორ გ. ა. ოვანესიანს. სპექტაკლი ბრწყინვალედ და ლამაზად დიდი გემოვნებით არის გაფორმებული სომხეთის სახალხო მხატვრის მ. ს. სარიანის მიერ.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დარბაზში დიდხანს გაისმოდა ტაშის გრიალი, რომლითაც მაყურებელნი მიესალმნენ საბჭოთა სომხეთის ხელოვნების წარმომადგენელთ.

სომხური ხელოვნების დეკადის გახსნას დაესწრნენ ამხანაგები

ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. ი. კალინინი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ანდრეევი, გ. მ. მალენკოვი და მ. ფ. შკირიატოვი. (საქდესი).

ბრძანებულება

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რუსეთის სფსრ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დღის შესახებ

1. დაინიშნოს 1939 წლის 24 დეკემბრისათვის რუსეთის სფსრ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები.

2. რუსეთის სფსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანიის დასაწყისად გამოცხადებულ იქნას 1939 წლის 24 ოქტომბრიდან.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. ბადაევი
რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ბ. კოზლოვი

მოსკოვი, 1939 წლის 21 ოქტომბერი.

დასავლეთ ბელორუსიის მშრომელნი ემზადებიან ოქტომბრის დღესასწაულისათვის

ბელოსტოკი, 20 ოქტომბერი (საქდესი). ბელოსტოკის ფაბრიკა-ქარხნებში იმართება საუბრები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავის შესახებ.

პირველი წინასადღესასწაულო საუბარი გაიმართა პოჩეპუცკის ფაბრიკაში. მუშები დიდი ინტერესით ისმენდნენ საუბარს გმირ რუს ხალხზე, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადებზე ლენინსა და სტალინზე.

ქალაქის დროებითმა მმართველობამ საწარმოებში გაჰგზავნა დიდძალი ლიტერატურა და მხატვრული პლაკატები, რომლებიც მიძღვნილია დიადი დღესასწაულისადმი. საწარმოებში იქმნება მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, რომელნიც მუშების წინაშე გამოვლენ დღესასწაულის დროს. ადგილობრივი ებრაელთა თეატრი ამზადებს რევოლუციური პიესის „აჯანყების“ დადგმას.

ქალაქის მორთვაში 20-ზე მეტი მხატვარი იღებს მონაწილეობას.

○

ლიდა, 20 ოქტომბერი (საქდესი). ქალაქ ლიდის მშრომელნი აღფრთოვანებით ემზადებიან, რათა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად იდღესასწაულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავი. ცენტრალურ სოკალსკის ქუჩაზე გამოფენილია ლამაზი ტრანსპარანტები, რომელნიც მოუწოდებენ მშრომელთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების დეპუტატთა არჩევნებში, ღირსეულად მოემზადონ ოქტომბრის XXII წლისთავისათვის.

ფაბრიკა „არდალში“, სადაც 900 კაცი მუშაობს, მუშათა პირველი კლუბი იქმნება. ბელოკონსკის თემის ყოფილი მემამულის ვარმიდამოში იხსნება სკოლა გლეხთა ბავშვებისათვის.

გამოფენა საისტორიო ბიბლიოთეკაში

მოსკოვის სახელმწიფო საჯარო საისტორიო ბიბლიოთეკაში გაიხსნა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ისტორიის მასალის გამოფენა. მატიანეები, ისტორიული დოკუმენტები, მონოგრაფიები, ილუსტრაციები და რუკები ასახავენ დასავლეთ უკრაინელებისა და დასავლეთ ბელორუსების ბედს უძველესი ხანიდან მოყოლებული, ვიდრე წითელი არმიის მიერ პოლონელი პანების უღლისაგან მათს განთავისუფლებამდე.

გამოფენას 10 განყოფილება აქვს. პირველი მათგანი მიძღვნილია მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის აზრებისადმი ჩაგრულ ერთა განმათავისუფლებელ ბრძოლის შესახებ. მეორე განყოფილება ახასიათებს რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების თვისტომობასა და ძმობას. აქ წარმოდგენილია მდიდარი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა შესახებ IX საუკუნემდე და კიევის სახელმწიფოს ხალხთა შესახებ. მესამე განყოფილება მიძღვნილია დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის ისტორიულ ბედისადმი 1569 წლის ლიუბლინის უნიამდე.

გამოფენილია უკრაინისა და ბელორუსიის ისტორიის ძვირფასი მასალა, რომელიც ასახავს პანების ბატონობის პერიოდს, ვიდრე XVII საუკუნის პირველ ნახევრამდე. ბოგდან ხმელნიცკისადმი და პოლონელი პანების წინააღმდეგ უკრაინის კაზაკებისა და გლეხების ბრძოლისადმი მიძღვნილი მასალა გვიჩვენებს უკრაინელი ხალხის ბუნებრივ სწრაფვას რუსეთისაკენ, რუსეთთან მის შეერთებას 1654 წელს. დიდ ინტერესს წარმოადგენს „თვალით მნახველის მატიანე“—ახლად აღმოჩენილი ნუსხებით, რომელსაც დართული აქვს სამი მალოროსული ქრონიკა: ხმელნიცკისა, „მალოროსიის მოკლე აღწერილობა“ და „კრება ისტორიული“. მატიანე გამოცემულია 1878 წელს „უძველესი აქტების გამრჩევი კიევის დროებითი კომისიის მიერ“.

გამოფენაზე მკაფიოდ არის ნაჩვენები უკრაინელი და ბელორუსი გლეხობის ბრძოლა პოლონელი პანების წინააღმდეგ XVIII საუკუნეში. სპეციალური განყოფილებანი მიძღვნილია ბელორუსი და უკრაინელი ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი XIX საუკუნეში და სსრ კავშირის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პერიოდში.

გამოფენას აგვირგვინებს მასალა, რომელიც მოგვითხრობს დასავლეთ უკრაინელებისა და დასავლეთ ბელორუსების მძიმე მდგომარეობის შესახებ ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, და დოკუმენტები, რომლებიც გვიხატავენ მათს განთავისუფლებას წითელი არმიის მიერ. (საქდესი).

სესხის ტირაჟი

23 ოქტომბერს დონის როსტოვში დაიწყება მესამე ხუთწლედის (პირველი წლის გამოშვება) სესხის მესამე ტირაჟი. ამ ტირაჟში გათამაშებული იქნება 96.050.600 მანეთის 610 ათასი მოგება. ამ მოგებათა შორის იქნება: 3.000-მანეთიანი 61 მოგება, 1000-მანეთიანი 305 მოგება, 500-მანეთიანი 3.050 მოგება, 200-მანეთიანი 61 ათასი მოგება და 150-მანეთიანი 545.584 მოგება.

ტირაჟი 2 დღე გაგრძელდება. (საქდესი).

ციტრუსოვანთა რაიონებში გაიგზავნა საყალიბებელი მანქანების პირველი პარტია

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ დაამზადა ციტრუსების ნაყოფთა საყალიბებელი მანქანების პირველი პარტია. დამზადებულია გამომგონებელი ინჟინერ ალექსანდროვის სისტემის 20 მანქანა. პირველი 8 მანქანა უკვე გაიგზავნა შემკვეთელთ — საქკონსერვჭილის ტრესტს, აჭარის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტსა და აჭარვაჭრობას. ოქტომბრის დამლევამდე ქარხანა გამოუშვებს სულ 50 საყალიბებელ მანქანას, რომლებიც დაიდგმება რესპუბლიკის ციტრუსოვანთა რაიონებში არსებულ საფუთავ და შემსყიდველ პუნქტებში.

ალექსანდროვის სისტემის მანქანას აქვს შემდეგი ნაწილები: ბუნკერი, ტრანსპორტერი და სპეციალური სისტემის ფირფიტები მრავალი ნახვრეტებით 7 სხვადასხვა ზომის ნაყოფის დასაყალიბებლად. ამ მანქანის გამოყენება ნაყოფის დაყალიბებას აჩქარებს. თვითეული მანქანა 40-მდე მუშის საქმეს ასრულებს. მანქანის გამოცდას კარგი შედეგი მოჰყვა. (საქდესი).

ხელშეკრულება თურქეთსა, საფრანგეთსა და ინგლისს შორის

ანკარა, 20 ოქტომბერი (საქდესი). ანატოლიის სააგენტო გადმოგვცემს იმ ხელშეკრულების ტექსტს, რომელიც 19 ოქტომბერს დადებულ იქნა თურქეთსა, საფრანგეთსა და ინგლისს შორის: „საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მისმა უდიდებულესობამ დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მეფემ, ინდოეთის იმპერატორმა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სურთ რა დასდვან ურთიერთვალდებულების ხასიათის მქონე ხელშეკრულება მათი ნაციონალური უშიშროების ინტერესებისათვის და სურთ რა უზრუნველჰყონ ურთიერთდახმარება აგრესიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, დანიშნეს თავიანთი რწმუნებულები, რომლებიც, სათანადო წესრიგში მყოფ თავიანთ რწმუნებათა ურთიერთწარდგენის შემდეგ, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი ჩაებმება ევროპის სახელმწიფოსთან საომარ მოქმედებაში ამ სახელმწიფოს მიერ თურქეთის წინააღმდეგ ჩადენილი აგრესიის შედეგად, საფრანგეთი და შეერთებული სამეფო ეფექტიურად ითანამშრომლებენ თურქეთთან და თავიანთი ძალების ფარგლებში ყოველნაირად დაეხმარებიან და ხელს შეუწყობენ მას.

მუხლი 2. პირველი: ევროპის სახელმწიფოს მიერ ჩადენილი აგრესიის აქტის შემთხვევაში, რაც ხმელთაშუა ზღვის ზონაში გამოიწვევს ომს, რომელშიც ჩათრეულ იქნებიან საფრანგეთი და შეერთებული სამეფო, თურქეთი ეფექტიურად ითანამშრომლებს საფრანგეთთან და შეერთებულ სამეფოსთან და თავისი ძალების ფარგლებში ყოველნაირად დაეხმარება და ხელს შეუწყობს მათ. მეორე: ევროპის სახელმწიფოს მიერ ჩადენილი აგრესიის აქტის შემთხვევაში, რამაც ხმელთაშუა ზღვის ზონაში გამოიწვია ომი, რომელშიც ჩათრეულ იქნება თურქეთი, საფრანგეთი და შეერთებული სამეფო ეფექტიურად ითანამშრომლებენ თურქეთთან და თავიანთი ძალების ფარგლებში ყოველნაირად დაეხმარებიან და ხელს შეუწყობენ მას.

მუხლი 3. საფრანგეთისა და შეერთებული სამეფოს მიერ მათი 1939 წლის 13 აპრილის განცხადებებით საბერძნეთისა და რუმინეთისათვის მიცემული გარანტიების მოქმედების მთელი დროის განმავლობაში თურქეთი ეფექტიურად ითანამშრომლებს საფრანგეთთან და შეერთებულ სამეფოსთან და იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი და შეერთებული სამეფო ჩათრეულ იქნებიან საომარ მოქმედებაში ზემოთმოხსენებული ერთი ან მეორე ქვეყნის აღნიშნული გარანტიების შედეგად, თურქეთი თავისი ძალების ფარგლებში ყოველნაირად დაეხმარება და ხელს შეუწყობს მათ.

მუხლი 4. იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი და შეერთებული სამეფო ჩათრეულ იქნებიან ევროპის სახელმწიფოსთან საომარ მოქმედებაში, ამ სახელმწიფოს მიერ ერთერთი აღნიშნული სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი აგრესიის შედეგად და ამასთან შეუძლებელ იქნება ამ ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლების დადგენილებათა გამოყენება, ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები დაუყოვნებლივ გასწევენ ერთმანეთს შორის კონსულტაციას. მიუხედავად ამისა, შეპირობებულია, რომ ასეთი შესაძლებლობის დროს თურქეთი უკიდურეს შემთხვევაში დაიცავს კეთილსასურველ ნეიტრალიტეტს საფრანგეთისა და შეერთებული სამეფოს მიმართ.

მუხლი 5. მესამე მუხლის დადგენილებათა დაურღვევლად, იმ შემთხვევაში უკეთუ:

1) ევროპის სახელმწიფომ ჩაიდინა აგრესია ევროპის მეორე ქვეყნის წინააღმდეგ, რომლის მიმართაც მისი თანხმობით ხელშეკრულების ხელმომწერი ერთერთი ქვეყნის მთავრობამ იკისრა ვალდებულება დახმარება აღმოუჩინოს მისი დამოუკიდებლობის ან ნეიტრალიტეტის შესანარჩუნებლად ასეთი აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში;

2) ევროპის სახელმწიფომ ჩაიდინა აგრესია, რომელიც თუმცა მიმართულია ევროპის მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაგრამ, ხელშეკრულების დამდები ერთერთი ქვეყნის მთავრობის აზრით, იგი საფრთხეს უქადის მის საკუთარ ინტერესებს, — ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები დაუყოვნებლივ გასწევენ ერთმანეთს შორის კონსულტაციას იმისათვის, რათა შეერთებული ძალით გადასდგან ყოველგვარი ნაბიჯი, რომელიც ქმედ ნაბიჯად იქნება ცნობილი.

მუხლი 6. ეს ხელშეკრულება არ არის მიმართული რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ. მის მიზანს წარმოადგენს უზრუნველჰყოს საფრანგეთისა, შეერთებულ სამეფოსა და თურქეთისათვის ურთიერთდახმარება და ხელშეწყობა აგრესიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

მუხლი 7. ამ ხელშეკრულების დადგენილებანი ძალისმქონეა ისევე, როგორც ორმხრივი ვალდებულებანი თურქეთსა და ხელშეკრულების დამდებ ორ დანარჩენ მაღალ მხარეს შორის.

მუხლი 8. უკეთუ ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ამ ხელშეკრულების შესრულების ძალით ჩათრეულ იქნებიან საომარ მოქმედებაში, ისინი არ დასდებენ დროებითს ზავს ან ზავს ურთიერთშეუთანხმებლად.

მუხლი 9. ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულ უნდა იქნას. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირებულ იქნება ანკარაში შესაძლო უმოკლეს ვადაში. სიგელების დეპონირების შემდეგ ხელშეკრულება ძალაში შედის.

ეს ხელშეკრულება დადებულია 15 წლის ვადით. უკეთუ ამ ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე ხელშეკრულების დამდები არცერთი მაღალი მხარე არ ვანუცხადებს დანარჩენ ორ მხარეს, რომ მას განზრახვა აქვს მოახდინოს მისი დენონსირება, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება ახალი ვადისათვის 5 წლით და სხვ.

ოქმი № 1

ქვემორე ხელისმომწერი რწმუნებულები ადასტურებენ, რომ მათი მთავრობანი თანახმანი არიან ძალაში შეიყვანონ ეს ხელშეკრულება მისი ხელმოწერის მომენტიდან. ეს ოქმი განხილულ იქნება, როგორც შემადგენელი ნაწილი იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დღეის რიცხვით დაიდო საფრანგეთსა, შეერთებულ სამეფოსა და თურქეთს შორის.

ოქმი № 2

შეუდგნენ რა ამ ხელშეკრულების ხელმოწერას, ქვემორე ხელისმომწერლები, რომელთაც საამისოდ ჰქონდათ სათანადო რწმუნება, შეთანხმდნენ შემდეგზე: ზემოთმოხსენებული ხელშეკრულების ძალით თურქეთის მიერ თავის თავზე მიღებულ ვალდებულებებს არ შეუძლია აიძულოს თურქეთი ისეთ მოქმედებაზე, რომლის რეზულტატად ან შედეგად შეიძლება მოხდეს სსრ კავშირთან შეიარაღებულ კონფლიქტში მისი ჩათრევა.

ეს ოქმი მიჩნეულ იქნება როგორც ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი“.

ჩემბერლენის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 20 ოქტომბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ თემთა პალატაში ჩემბერლენი გამოვიდა რიგგარეშე განცხადებით ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის პაქტის ხელმოწერის შესახებ. ჩემბერლენმა დამსწრეთ მოაგონა თავისი, 12 მაისის, განცხადება, რომლის დროსაც მან სთქვა, რომ ინგლისისა და თურქეთის მთავრობებმა გადასწყვიტეს დასდონ შეთანხმება. შემდეგში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ამ შეთანხმებას უნდა მიეცეს ინგლისსა, საფრანგეთსა და თურქეთს შორის სამმხრივი პაქტის ფორმა. ხელშეკრულების პირობების შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა დაახლოებით 3 კვირის წინათ, მაგრამ ხელშეკრულების ხელმოწერა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების თანხმობით გადაიდო, ვინაიდან თურქეთის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დარბაზობა მოსკოვში პარალელური საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულების დადებით დამთავრდებოდა. ის მოლაპარაკება, რომელსაც სარაჯოღლუ მოსკოვში აწარმოებდა, ახლა დროებით შესწყდა. ჩემბერლენმა განაცხადა: თურქეთის მთავრობა ჰფიქრობს, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებული ზოგიერთი წინადადება ვერ ურიგდებოდა იმ პუნქტებს, რომელთა შესახებაც უკვე იქნა მიღწეული შეთანხმება, ერთის მხრით, თურქეთსა და, მეორე მხრით, ინგლისსა და საფრანგეთს შორის. მიუხედავად ამისა, როგორც მოსკოვში, ისე ანკარაში გამოცხადდა, რომ თურქეთის ურთიერთობა საბჭოთა მთავრობასთან, ისე როგორც წარსულში, მეგობრობაზე იქნება დამყარებული. ამავე დროს თურქეთის მთავრობამ გადასწყვიტა უკვე აღარ გადასდოს ინგლის-თურქეთის ხელშეკრულების ხელმოწერა, და მე მოხარული ვარ ვაცნობო პალატას, — სთქვა ჩემბერლენმა, — რომ ნახევარი საათის წინ ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა ანკარაში.

კომუნისტების დევნა საფრანგეთში

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი (საქდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საფრანგეთის სამხედრო ტრიბუნალი განაგრძობს ფრანგი კომუნისტი დეპუტატების დაკითხვას. კომუნისტები განაგრძობენ ბონეტისა და რემეტის იმ მომართვისათვის მხარდაჭერას, რომლითაც უკანასკნელნი მოითხოვდნენ საზავო წინადადებათა განხილვას.

გრიუს გამოსვლა

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მოხელეები აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ტოკიოელი ელჩის გრიუს გამოსვლა აფრთხილებს იაპონელებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ იწონებენ მათს მოქმედებას ჩინეთში. გრიუს სიტყვა ვაშინგტონის ოფიციალურ პოზიციას გამოხატავს. სექტემბერში, ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე გრიუ ტოკიოში გაემგზავრებოდა, იგი ეთათბირა რუზველტს. ამგვარად, როდესაც გრიუ იაპონიაში მიემგზავრებოდა, იგი უკვე ინფორმირებული იყო იმის შესახებ, თუ რა პოზიცია ეჭირა რუზველტს შორეულ აღმოსავლეთის საკითხებში.

ესტონეთის პრემიერ-მინისტრის ულუოტსის გამოსვლა

ტალინი, 20 ოქტომბერი (საქდესი). სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა პრემიერ-მინისტრმა პროფესორმა ი. ულუოტსმა ესტონეთის მთავრობის მოქმედების პროგრამის შესახებ.

„ჩვენ,—სთქვა მან, — ამჟამად მსოფლიო ისტორიის განსაკუთრებულ დროს ვცხოვრობთ. ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში დიდი ერები ერთ თვეზე მეტია, რაც ომის ვითარებაში იმყოფებიან. მთელი მსოფლიოს ზღვებში და განსაკუთრებით ევროპის ზღვებში მოისპო ვაჭრობის თავისუფლება. დიდი ერების ბრძოლამ ჩაითრია პატარა ერებიც. მე განზრახვა არა მაქვს აქ განვმარტო ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ეს ამბები. ადამიანის გონებას ამ გარდატეხის საბოლოო შედეგების წარმოდგენაც კი არ შეუძლია. ხელმძღვანელებს დაკისრებული აქვთ პასუხსაგები ამოცანა მთლიანად და დაუზიანებლად გადაარჩინონ თავიანთი ხალხი ამ მშფოთვარე დროში.

რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობის გამორკვევის დროს ჩვენ ანგარიშს ვუწევდით ახალ ვითარებას და ვცდილობდით გაგვეერთიანებინა პარლამენტის ყველა დაჯგუფება მთლიანი თანამშრომლობისათვის. მიუხედავად ჩვენი სურვილისა, ზოგიერთი წრე მთავრობის გარეშე დარჩა. მთავრობა შეეცდება განახორციელოს მთელი ხალხის შემჭიდროება.

რესპუბლიკის მთავრობა პარლამენტის წინაშე გამოდის შემდეგი განცხადებით:

რესპუბლიკის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ საერთაშორისო მდგომარეობას, რომელშიც ესტონეთი იმყოფება. ესტონეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მიზანი კვლავინდებურად იმაში მდგომარეობს, რომ შევინარჩუნოთ კარგი პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა ჩვენს მეზობლებთან და სხვა სახელმწიფოებთანაც. ემსახურება რა ერთგულად ამ მიზანს, ესტონეთის რესპუბლიკამ 28 სექტემბერს საბჭოთა კავშირთან დასდო მნიშვნელოვანი პაქტი, რომელმაც ჩვენი ურთიერთობა აღმოსავლეთის დიდ მეზობლებთან ნდობისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე დაამყარა. ამ საფუძვლებზე სწარმოებს პაქტის რეალიზაცია ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარის მიერ.

მხარს უჭერს რა მეგობრულ ურთიერთობას ყველა სახელმწიფოსთან, მთავრობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ესტონეთის ეკონომიური ინტერესების საკითხში. ევროპის ახლანდელი ომის პირობებში მთავრობა მიზნად ისახავს ნეიტრალიტეტის დაცვას და ყოველმხრივად იცავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ურთიერთობას საზღვარგარეთთან.

საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა გავლენას ახდენს ესტონეთის შინაურ ცხოვრებაზე. რაც უფრო დაძაბულია საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა, მით უფრო უნდა შემჭიდროვდეს ხალხისა და ესტონეთის სახელმწიფოს მთელი ძალა. უნდა მივაღწიოთ თანამშრომლობას მოსახლეობის ყველა ჯგუფს შორის! უთანხმოებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი! ესტონეთის ხალხი შრომის მოყვარეა, მომჭირნეა, უყვარს სიმართლე და მშვიდობიანობა. მთავრობა ანგარიშს უწევს ესტონეთის ხალხის ამ თვისებებს და გარანტიას იძლევა, რომ ხალხი მიიღებს სამუშაოს და მშვიდობიანი შრომის სამართლიან დაცვას.

ეყრდნობა რა რესპუბლიკის პრეზიდენტის ნდობას, მთავრობას სურს ამავე დროს პარლამენტისა და მთელი ესტონეთის ხალხის ნდობაც ჰქონდეს. მთავრობა დაიცავს ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციურ წყობილებას და მის დაწესებულებებს.

საშინაო პოლიტიკის დარგში დასახულია ახალი ამოცანები. საჭიროა ყველა მოქალაქეთა დარაზმვა და მათი საერთო შრომა. არ შეიძლება ხალხი მაყურებლად დარჩეს, ხელი უნდა შევუწყოთ მის თვითმოქმედებას. რესპუბლიკის მთავრობას განზრახული აქვს მშვიდობიანი გარდაქმნა ჩაატაროს. თვითმართველობა ჩვენში ყველაზე ძველი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა. ახლა თვითმმართველობას მოეხდება მოიპოვოს მოსახლეობის ყველა ფენის სრული ნდობა და პატივისცემა და შეუდგეს შემოქმედებითს მუშაობას. საჭიროა განვაგრძოთ სახელმწიფო თავდაცვის განმტკიცება, გავატაროთ მოდერნიზაცია არმიისა და თავდაცვისა როგორც ჩვენი ქვეყნის დაცვის ნებაყოფლობითი ორგანიზაციისა.

ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის უზრუნველყოფილია საქონლის გასაღების ახალი გზები და ყველა ხელღეული და სამომხმარებლო პროდუქტის მიღება. მთავრობა გააფართოებს ფიქალისა ფოსფორიტის წარმოებას, განახორციელებს ელექტროფიკაციის, გზატკეცილების ქსელის გაყვანისა და ვალგასა და აბიას შორის რკინიგზის გაყვანის გეგმებს. ფასების დაუსაბუთებელი აწევა უნდა შესწყდეს მტკიცე კონტროლით. საჭიროა ეკონომიის პრინციპი გავატაროთ სახელმწიფო ბიუჯეტში, გამოვნახოთ შემოსავლის ახალი წყაროები, პირველ რიგში დიდი მოგების ხარჯზე. ეკონომია გავწიოთ მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით, განსაკუთრებით ნედლეულის დარგში და შრომის ნაყოფიერების გადიდებით უნდა გარდაიქმნას სათბობის ბაზარი, სათბობის საზღვარგარეთული სახეები შინაური სახეებით შეიცვალოს და გადიდდეს ფიქალის ზეთის ექსპორტი.

გერმანიასთან შეთანხმების ოქმი გერმანელების გადასახლების შესახებ განხორციელებულ იქნება ორივე მხარის მიერ პატიოსნად და არ შელახავს ესტონეთის ეკონომიური ცხოვრების ინტერესებს.

სოფლის მეურნეობის დარგში გაწეულ იქნება დახმარება წლევანდელი მოუსავლიანი წლის სიძნელეთა გადასალახავად, აგრეთვე დახმარება მომავალი გაზაფხულზე მუშახელის მიღების საქმეში“.

შემდეგ პროფ. ი. ულუოტსი შეჩერდა კაბინეტის ამოცანებზე ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების დარგში. მთავრობა თავის ამოცანად ისახავს კვლავაც განავითაროს სახალხო ჯანმრთელობის დაცვა და გადასწყვიტოს მომუშავეთათვის ანაზღაურებულ შვებულებასთან დაკავშირებული საკითხები, უფრო სრული სახით განახორციელოს დაწყებითი განათლება და მოახდინოს საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა რეფორმირება.

„დასასრულ,—სთქვა პროფ. ი. ულუოტსმა, — რესპუბლიკის მთავრობას სურს ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნოს ახლანდელი სერიოზული საერთაშორისო მდგომარეობა. მთავრობა გაერთიანებული ძალით წაიყვანს წინ ესტონეთის ხალხს და სახელმწიფოს ღრმად დარწმუნებული თავის მომავალში“.

ესტონეთის პრესა ესტონეთში საბჭოთა კავშირის ჯარის ჩასვლის შესახებ

ტალინი, 20 ოქტომბერი (საქდესი). ესტონეთის ყველა გაზეთმა დღეს მოათავსა შემდეგი ცნობა: „18 ოქტომბერს საზღვარზე გადმოსული წითელი არმიის ნაწილების მოძრაობა გრძელდება დანიშნული პუნქტებისაკენ. 19 ოქტომბერს, დილით, საზღვარზე გადმოვიდა კიდევ წითელი არმიის ზოგიერთი ნაწილი. 19 ოქტომბერს, შუადღისათვის, ჯარის უკანასკნელმა ნაწილებმა ნარვა და იიხვი გაიარეს. ამ ქალაქების ქუჩები მთლიანად იყო დათმობილი საბჭოთა კავშირის ჯარის გასავლელად, ხოლო შემდეგ კვლავ გაიხსნა საერთო მოძრაობისათვის. უკვე დამთავრდა ჯარის მოძრაობა გზატკეცილებზე ვირუსა და პეტსერის აღმოსავლეთ ნაწილშიაც და ყველა გზა გახსნილია მოსახლეობისათვის. საბჭოთა კავშირის ჯარმა, რომელიც ესტონეთში ჩამოვიდა, ღამე კარვებში გაათია, ხოლო დილით განაგრძო თავისი გზა. 19 ოქტომბერს რკინიგზით მოვიდა ახალი მატარებლები, რომლებშიაც ჯარი და საჭურველია“.

ვილნოს საკითხში ლიტვის პოლიტიკის შესახებ

კაუნასი, 20 ოქტომბერი (საქდესი). გაზეთი „ლიეტუვოს აიდასი“ ლიტვის პოლიტიკისადმი მიძღვნილ მოწინავეში სწერს: „ჩვენ მშვიდობიანი საშუალებებით განვახორციელეთ ჩვენი ხალხის საუკუნოებრივი ოცნება ვილნოს და მისი მხარის ლიტვისათვის დაბრუნების შესახებ. ეს ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის დიდი წარმატებაა. ლიტვა სისხლის დაუღვრელად იღებს იმას, რაც მას სამართლიანად ერგება. საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ლიტვამ ამის გაკეთება მხოლოდ იმიტომ შესძლო, რომ საბჭოთა კავშირმა, რომელიც აგრეთვე მშვიდობიანობის განუხრელ პოლიტიკას აწარმოებს და აგრესიას ჰგმობს, სათანადოდ შეაფასა ლიტვის სამართლიანი არგუმენტები და მისი მშვიდობიანობის ნათელი პოლიტიკა. ვილნოს დაბრუნება ლიტვისათვის საბჭოთა კავშირისა და ლიტვის სამშვიდობო პოლიტიკის მიღწევას წარმოადგენს. ამავე დროს ეს მთელი მსოფლიოსათვის წარმოადგენს იმის საუცხოო მაგალითს, თუ რა ბევრი რამის მიღწევა შეიძლება მშვიდობიანი გზით. ლიტველი ხალხი ამას არასოდეს არ დაივიწყებს“.

„როიალ ოკის“ ჩაძირვის დაწვრილებითი ცნობები

ბერლინი, 19 ოქტომბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, გერმანიის მთავრობის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების უფროსმა დიტრიხმა მოაწყო უცხოელ ჟურნალისტთა შეხვედრა გერმანიის იმ წყალქვეშა ნავის მეთაურთან და ეკიპაჟთან, რომელმაც ჩაძირა ინგლისის სახაზო გემი „როიალ ოკი“ და ტორპედები ესროლა სახაზო კრეისერ „რიპალსს“.

წყალქვეშა ნავის მეთაურმა უცხოელ კორესპონდენტებს აუწყა, რომ „პირველი ტორპედი მოხვდა სახაზო კრეისერ „რიპალსს“. მეორე ჭურვი მოხვდა სახაზო გემ „როიალ ოკს“. სჩანდა კვამლის უზარმაზარი ღრუბლები და ცეცხლის კორიანტელი, რომელიც ანძის სიმაღლეს აღწევდა. როდესაც ეს შესწყდა, „როიალ ოკი“ უკვე ჩაიძირა. ამის შემდეგ დავრწმუნდით, რომ დაზიანებული იყო აგრეთვე „რიპალსიც“, რომელიც ნათლად სჩანდა. მაშინვე დაედევნენ წყალქვეშა ნავს, მაგრამ მან მოახერხა ბუხტიდან შეუმჩნევლად გამოსვლა“.

ლიტვის გაზეთ „XX ამჟიუსის“ ყალბი ცნობა

კაუნასი, 20 ოქტომბერი (საქდესი). გაზეთმა „XX ამჟიუსმა“ 18 ოქტომბრის ნომერში მოათავსა ყალბი ცნობა იმის შესახებ, რომ „საბჭოთა კავშირის მიერ დაკავებული ოლქებიდან უკრაინელები ჯგუფ-ჯგუფად გარბიან გერმანიაშიო“. ადგება რა სინამდვილის დამახინჯების გზას, გაზეთი იქამდე მიდის, რომ ასახელებს დასავლეთ უკრაინიდან გერმანიაში წასულ ლტოლვილთა ფანტასტიურ ციფრს. თითქმის 200 ათას კაცს.

ათავსებს რა ამ ყალბ ცნობებს, გაზეთს მის წყაროდ მოჰყავს შვეციის გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდნინგენის“ ბერლინელი კორესპონდენტის ცნობა.

მუნიციპალური არჩევნების აკრძალვა ინგლისში

ლონდონი, 20 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ცნობილია, ინგლისის მთავრობამ პარლამენტის განსახილველად შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ჰკრძალავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს ომიანობის დროს. ამ კანონპროექტის მეორე წაკითხვით განხილვისას კომუნისტმა დეპუტატმა გალახერმა განაცხადა, რომ მთავრობის ეს ღონისძიება მეტად ანტიდემოკრატიულია. მუნიციპალიტეტის არჩევნები, — განაცხადა მან,—აკრძალულია იმ საბაბით, რომ საჭიროა მიღწეულ იქნას ნაციონალური გაერთიანება. ერთმა მუნიციპალიტეტმა უკვე გადასწყვიტა მუნიციპალიტეტის წევრების სხდომები ერთხელ მაინც მოიწვიოს სამი თვის განმავლობაში.

გაზეთი „დეილი უორკერი“ აღნიშნავს რა მოწინავეში, რომ მთავრობა ამცირებს ხარჯებს სოციალური საჭიროებისათვის, ჰხურავს სკოლებს, სწყვეტს საბინაო მშენებლობას, ჰკეტავს საავადმყოფოებსა და კლინიკებს, სწერს: „ახლა ამომრჩევლებს უკრძალავენ გამოსთქვან თავისი აზრი სასიცოცხლო საკითხების შესახებ. კონსერვატორების ლიდერები, რასაკვირველია, კმაყოფილნი არიან ამ კანონპროექტით. მაგრამ, საკითხავია, რატომ უჭერენ მხარს ამ კანონპროექტს ლეიბორისტთა ხელმძღვანელები. გრინვუდმა თავის სიტყვაში მხარი დაუჭირა კანონპროექტს. ფაქტიურად იგი იწონებს საყოველთაო არჩევნების გაუქმებასაც კი, არჩევნებისა, რაც მომავალ წელს უნდა მომხდარიყო“.

დასავლეთი ბელორუსიის სახალხო კრების არჩევნების წინ

(საუბარი პოლესიის ოლქის დროებითი მმართველობის თავმჯდომარესთან ამხ. პ. ზ. კალინინთან)

ბრესტ-ლიტოვსკი, 20 ოქტომბერი (საქდესის სპეცკორი) 22 ოქტომბერს დასავლეთი ბელორუსიის ხალხები თავის საუკეთესო ვაჟებსა და ქალიშვილებს აირჩევენ სახალხო კრების დეპუტატებად. ამ ისტორიულ დღეს პოლესიის ოლქის მოსახლეობა ხვდება, როგორც საყოველთაო სახალხო დიდ დღესასწაულს. ყველგან ტარდება ხალხმრავალი მიტინგები და კრებები. ქალაქები და სოფლები ირთვება წითელი დროშებით, მწვანე ფოთლებით, ყვავილებითა და წითელი ლოზუნგებით შემკული თაღებით. სახლების კედლებზე გამოფენილია ამხანაგ სტალინის და ამხანაგების მოლოტოვისა და ვოროშილოვის სურათები.

პოლესიის ოლქის დროებითი მმართველობის თავმჯდომარემ ამხ. პ. ზ. კალინინმა, რომელიც ახლახან დაბრუნდა საარჩევნო ოლქებიდან, საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— უდიდესი აღფრთოვანებით ხვდება მოსახლეობა დასავლეთი ბელორუსიის სახალხო კრების არჩევნებს. პოლესიის ოლქის ყველა 238 საარჩევნო ოლქში არცერთი წუთით არ სწყდება გაცხოველებული, ყოველმხრივი მუშაობა. ათასობით აგიტატორები განუმარტავენ მოსახლეობას არჩევნების წესებს, უამბობენ დეპუტატობის კანდიდატების შესახებ. ამ დიდ და რთულ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მუშები, გლეხები, ადგილობრივი ინტელიგენცია. საარჩევნო კომისიებს ძმურ დახმარებას უწევენ წითელი არმიისა და დასავლეთი ბელორუსიის კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები — არტისტები, მხატვრები, მწერლები.

ოლქში რეგისტრირებულია 238 კანდიდატი: 160 ბელორუსი, 29 უკრაინელი, 20 ებრაელი, 19 რუსი და სხვ.

მოსახლეობა მიტინგებსა და კრებებზე, თანახმად ძველი ბელორუსული ჩვეულებისა, პურ-მარილით ხვდება თავის კანდიდატებს. გლეხი ქალები კანდიდატებს მხარს უმშვენებენ პირსახოცით, რომელიც შესანიშნავად არის მოქარგული ხელსაქმის საუკეთესოდ მცოდნე სოფლელი ქალების მიერ. ავტომობილებს, რომლებითაც დასავლეთი ბელორუსიის სახალხო კრების დეპუტატობის კანდიდატები ჩამოდიან საარჩევნო უბნებში, ყვავილებით ამკობენ.

კანდიდატების ამომრჩევლებთან შეხვედრა საყოველთაო სახალხო ზეიმის ხასიათს იღებს. მშრომელები კრებებზე გამოსთქვამენ რწმენას, რომ მათი რჩეულები შეასრულებენ ხალხის ნება-სურვილს და ერთსულოვნად ხმას მისცემენ საბჭოთა ბელორუსიასთან დასავლეთი ბელორუსიის შეერთებას, იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ამომრჩევლების ეს განაწესი გამოთქმულია მრავალ რეზოლუციაში, რომლებიც მიღებულია მიტინგებსა და კრებებზე.

დასავლეთი ბელორუსიის ხალხი დიდად აფასებს იმ ძმურ დახმარებას, რაც მას წითელმა არმიამ და საბჭოთა კავშირის მშრომელებმა აღმოუჩინეს.

ყოველი მხრიდან მოდის მისალმებანი ამხანაგ სტალინის, ამხანაგ ვოროშილოვისა და წითელი არმიის სახელზე.

პ. ი. ფრანკო დასახელებულია დასავლეთი უკრაინის სახალხო კრების დეპუტატობის კანდიდატად

ლვოვი, 20 ოქტომბერი (საქდესი). მე-38 საარჩევნო ოლქში დასავლეთი უკრაინის სახალხო კრების დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია უკრაინის დიდი მწერლისა და პოეტის ვაჟი პეტრე ივანეს-ძე ფრანკო.

პეტრე ფრანკომ საოლქო საარჩევნო კომისიაში გამოგზავნა განცხადება, რომელშიც სწერს:

„მე ვამაყობ იმით, რომ ლვოვის მშრომელებმა ჩემი კანდიდატურა წამოაყენეს სახალხო კრების დეპუტატად. მე დავიცავ და მხარს დავუჭერ ჩემი ამომრჩევლების ნება-სურვილს დიად საბჭოთა კავშირთან დასავლეთი უკრაინის შეერთების შესახებ“.

დასავლეთი ბელორუსია. სურათზე: მუშათა გვარდიის მოხალისე ქალიშვილები.
ფოტო ფიშმანისა (საქდესის ფოტოკლიშე).

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

22 ოქტომბერს მუდმ ადგ ტალ. № 25 **მეფის საცოლე**	23 ოქტომბერს მუდმ. ადგ ტალ. № 26 **ქეთო და კოტე**	24 ოქტომბერს დღის წარმოდგენა აბონემენტის გარეშე **ქეთო და კოტე**

დასაწყისი 8 ს. აბონემენტებზე განაცხადთა მიღება და აბონემენტების გაცემა თეატრის სალაროში. სალარო ღიაა 11—4 ს. და 5—9 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. წ. სეზონი.

22/X მუდმ. ადგ. ტალონი № 28 **უდანაშაულო დამნაშავენი**	23/X მუდმ ადგ. ტალონი № 29 **შემოდგომის აზნაურები**	24/X მუდმ. ადგ. ტალონი № 30 **უდანაშაულო დამნაშავენი**

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. წ. სეზონი

22 ოქტომბერს	23 ოქტომბერს	24 ოქტომბერს
მზის დაბნელება საქართველოში	**შ უ რ ი**	**უბრალო გოგონა**

24 ოქტომბერს დილის წარმოდგენა **უბრალო გოგონა** დასაწყ. დღის 12 ს. დასაწყისი საღ. 8 ს. სალარო ღიაა დილის 12 ს საღ. 9 საათამდე.

ა. წ. 23 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, შრომის სასახლის დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია

საქართველოს საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფკავშირის მესამე რესპუბლიკური კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. საქ. საფ.-საბანკო მუშაკთა პ/კ. ცენტრალური გამგეობის ანგარიში. (მომხს. ამხ. კ. ჩხაიძე).
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხს. ამხ. მ. ლეიბოვიჩი).
3. საქართველოს საფინანსო-საბანკო მუშაკთა პ/კ. ცენტრალური გამგეობის არჩევნები.
4. სარევიზიო კომისიის არჩევნები.
5. დელეგატების არჩევა საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფკავშირის მე-3 ყრილობაზე.

414 ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი.

ვიქტორ შველაძე მწუხარებით იუწყება დაუვიწყარი მეუღლის და მეგობრის **ცუცუ ჩხენკელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღ. 7 საათ. გამოსვენება 23/X 4½ საათზე. ახალციხის ქ. № 6 კუკიის სასაფლაოზე.

შვილი ექიმი მარო გაბუნია, სიძე რაფაელ ქორჩილავა, რძალი ნინო გაბუნია, შვილიშვილები სარა, ოთარ, კარლო იუწყებიან, რომ 24/X 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ფედუ გლახუას-ასულ გაბუნიას** პანაშვიდი. 3537

ს. მ. კიროვის ძეგლი ბაკურიანში

ბორჯომი, 20 ოქტომბერი (საქდესი). ბაკურიანში, სოფლის საბჭოს შენობის წინ დადგეს სოციალისტური რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის, სერგეი მირონის-ძე კიროვის ძეგლი.

ძეგლის საზეიმო გახსნა მოხდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავის ზეიმის დღეს.

ნიკოლოზ ვირტა სოხუმში

სოხუმს დასასვენებლად ჩამოვიდა ცნობილი მწერალი - დრამატურგი, ლენინის ორდენით დაჯილდოებული, ნიკოლოზ ევგენის-ძე ვირტა. საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ვირტამ შემდეგი განაცხადა:

— ამ ზაფხულზე მე დავამთავრე ახალი პიესა-კომედია „ცილისწამება ან ანტონ ივანის-ძის საშინელი დღეები“. პიესის ცენტრალური პირია ცილისმწამებელი აკიმ აკიმის-ძე პოპოტეევი. ეს კარიერისტი და თავკერძა ცილსა სწამებდა პატიოსან საბჭოთა მუშაკს ანტონ ივანეს-ძე პროსკუროვს, მაგრამ მხილებულ იქნა. ეს პიესა დეკემბერში დაიდგმება მოსკოვის რევოლუციის თეატრში, ლენინგრადის კომედიის თეატრსა და გრიბოედოვის სახელობის თბილისის თეატრში.

ამჟამად ამხ. ვირტა მუშაობს ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრისათვის პიესაზე „მწვანე წრე“, რომელიც მისივე რომანის „კანონზომიერების“ მიხედვით იწერება. ამ პიესას იგი სწერს დრამატურგ ო. ლიტოვსკისთან ერთად.

სოხუმში მწერალი ვირტა დაახლოებით ერთ თვეს დაჰყოფს. (საქდესი).

საქართველოს და უკრაინის მძლეოსნების შეჯიბრება

თბილისის ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს და უკრაინის მძლეოსნების შეჯიბრება.

შეჯიბრების პროცესში მძლეოსნობის სხვადასხვა დარგში დამყარდა საქართველოს ახალი რეკორდები. მსოფლიო რეკორდსმენმა ნ. დუმბაძემ ბადრო სტყორცნა 48 მეტრზე და 10 სანტ. ბათუმელმა ვერჩენკომ, ხუთი კილომეტრი დისტანცია გაირბინა 15 წუთში 49,2 წამში. ეს შედეგი ცნობილ იქნა საქართველოს ახალ რეკორდად. საქართველოს ახალი რეკორდები დაამყარეს აგრეთვე ათანელოვმა და ვ. დიაჩკოვმა. ათანელოვი სიგრძეზე გადახტა 6 მეტრზე და 86 სანტ. ვ. დიაჩკოვმა კი ჭოკით ხტომაში დასძლია სიმაღლე 4 მეტრი 10 სანტ.

დიდი ინტერესით ჩატარდა შეჯიბრება ამანათრბენში. ვაჟთაგან რბენაში გამარჯვება ხვდა საქართველოს გუნდს. ამავე სახეობაში ქალთა შორის შეჯიბრება უკრაინელების გამარჯვებით დამთავრდა.

შეჯიბრება მიმდინარეობდა სხვადასხვა დისტანციაზე რბენაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, პირთვის კვრაში, შუბის, ბადროს, ყუმბარის ტყორცნაში და სხვ.

პირველი ადგილი უკრაინის მძლეოსნებმა დაიკავეს.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „სტეპან რაზინი“; **ოქტომბერი** — „ცეცხლოვანი წლები“; **დამკვრელი** — „სტეპან რაზინი“; **კომკავშირელი**—„სევანის მეთევზეები“; **სპარტაკი** — „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“; **ლუქსემბურგის სახ.** — „ცეცხლოვანი წლები“; **26 კომისრის სახელობის** — „ლაშქრობა მთაში“; **კომინტერნი** — „ლაშქრობა მთაში“.

რესტავრირებული არალეგალური ბოლშევიკური სტამბის დათვალიერების წესი

რ. ს. დ. მ. პ. კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური რესტავრირებული სტამბა ღიაა დასათვალიერებლად ყოველდღე დღის 12 საათიდან საღამოს 6 საათამდე, გარდა ექვსდღიურის პირველი დღისა.

გამოსასვლელ დღეებში სტამბა ღიაა დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე, გამოსასვლელ დღეებში ექსკურსიების მიერ სტამბის დათვალიერება დაიშვება მხოლოდ წინასწარი ჩაწერით ექსკურსიების წინასწარი ჩაწერა სწარმოებს ყოველდღე სტამბის სამუშაო საათებში დილის 12 საათიდან საღამოს 6 საათამდე (კასპის ქ. № 4) პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების განცხადებით

სხვა რესპუბლიკებიდან და საქართველოს რაიონებიდან წინასწარი განცხადებები ექსკურსიებზე მიიღება, როგორც წერილობით, ისე ტელეგრაფით ან ტელეფონით № 3—41—84.

ხელოვნების ქრონიკა

⊙ **ლერმონტოვის საღამო.** 23 ოქტომბერს ლ. ბერიას სახელობის კულტურის სახლში საქ. ფილარმონიის საუკეთესო ძალთა მონაწილეობით გაიმართება დიდი რუსი პოეტის მ. ი. ლერმონტოვის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო.

⊙ **კონცერტი კონსერვატორიაში.** დღეს, 22 ოქტომბერს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება საბჭოთა ვიოლინისტის მ. პლაკსინის კონცერტი.

⊙ **ფილარმონიის საზამთრო სეზონი.** 23 ოქტომბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიხსნება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზამთრო სეზონი. გახსნის დღეს შესდგება გ. ნეიგაუზის კონცერტი.

სასამართლოს ქრონიკა

სპეკულანტი ცოლ-ქმარი

მეეზოვეებს ჰასან ინდუზის-ძე და სონია აჯის-ასულ მუსტაფაევებს ბინის გაჩხრეკის დროს დიდძალი სამრეწველო საქონელი უპოვეს. ამ საქონელს ისინი ჰყიდდნენ სპეკულატიურ ფასებში. მათი საქმე გაარჩია ბერიას რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ბ. ხიზანეიშვილის თავმჯდომარეობით და რაიონის პროკურორის მოადგილის ამხ. წერეთლის მონაწილეობით.

სასამართლოს დადგენილებით მათ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ექვს-ექვსი წლით და სასჯელის მოხდის შემდეგ ორ-ორი წლით აეყარათ სამოქალაქო უფლებები.

„შინამრეწველი“

სტალინის რაიონის დახურულ ბაზარში დააპატიმრეს „შინამრეწველი“ ოვან მკირტიჩის-ძე ოვანიანი, რომელიც ახერხებდა ფართლის მიღებას, ჰკერავდა ახალ ტანსაცმელს და ჰყიდდა სპეკულატიურ ფასებში. ოვანიანს წერტში უპოვეს 180 მეტრამდე ფართალი.

ოვანიანის საქმე გაარჩია სტალინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ბ. წიქვაძის თავმჯდომარეობით და რაიონის პროკურორის ამხ. რ. ბახანოვის მონაწილეობით ოვანიანს მიუსაჯეს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლით სამოქალაქო უფლებების აყრა.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომი იუწყება, რომ საკანდიდატო ბარათი № 1667003 გაცემული პეტრე ალექსის-ძე გიორგბერიძის სახელზე დაკარგული და გაუქმებულია.

22 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება ამხ. გეგეშიძის ლექცია ქართულ ენაზე. თემა — „პარტიის XIV ყრილობა და კურსი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ქ. კვინტრაძე, ქ. ნაზარეტიანი, ს. ელიაძე, ს. ბეკურაშვილი, ს. საჩინელი, ა. ცქიტიშვილი, ა. ამონაშვილი, ბ. ბუჩუკური, ო. ხადარეიშვილი, გ. ჟვიაძე, ა. სომუნჯიანი, ი. მხატვარი იუწყებიან ალექსი ელყანიშვილის მამის **ისაკი იოსების-ძე ელყანიშვილის** გარდაცვალებას. 3540

თბილისის ფარმაცევტული სკოლის დირექცია, მასწავლებლები და პროფკომი იუწყებიან ამავე სკოლის მე-3ე კურსის მოწაფის **ელიკო კრაწაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 24/X 4 ს. დუშეთის, (ყ. ნატახტარის), 19, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 3532

შვილები ვალია, ჟენია, კოტე გაბუნიები იუწყებიან, რომ ვაკის სასაფლაოზე 24/X 2 ს. დანიშნულია საყვარელი დედის **ფედოსი (ფაჭა) მანუჩარის-ასულ გაბუნიას** სამოქალაქო პანაშვიდი. 3533

საქფინსახკომის ადგილობრივი ბიუჯეტების სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ამავე სამმართველოს თანამშრომლის ვასილ თომას-ძე ხახანაშვილის მეუღლის **ალექსანდრა (საშა) ხახანაშვილის** გარდაცვალებას. 3534

ძალო მამო, ბიძაშვილი ვახტანგ, რძლები თამარ, მარო შვილებით იუწყებიან ფარმაცევტული ტექნიკუმის მოწაფის **ელიკო კრაწაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 24/X 4 ს. ნატახტარის, 19, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 3528

პავლე ტარასის-ძე მაჭავარიანის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე 24/X 2 ს. ვაკის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც იუწყებიან დედა, და, ძმები გრიგოლ და ლავრენტი მაჭავარიანები ცოლშვილით. 3515

უახლოესი ამხანაგები თამარ, ივანე ბიბილეიშვილები, თათუშა, სერგო გრიგოლაშვილები, ვერა, ვასილ კიკნაძეები, თამარ, გიორგი ჩხენკელი იუწყებიან ვერა და ნიკოლოზ ქართველიშვილების ძმის **სიმონ ქართველიშვილის** გარდაცვალებას. 3535

მეუღლე ნალა, მშობლები ოლღა, სპირიდონ, დები კალინკა მეუღლით, გოგუცა, გუგულა, ძმები ჰიჩიკო, ნიკოლოზ, რძლები ლოლა, ვერა ქართველიშვილები იუწყებიან **სიმონ სპირიდონის-ძე ქართველიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/X ქ. სამტრედიაში, გორკის, 15. 3535

ლეო და ია რამიშვილები იუწყებიან, რომ 24/X 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ალექსანდრა დიმიტრის-ასულ და შალვა სერაპიონის-ძე რამიშვილების** სამოქალაქო პანაშვიდი. 3523

ძმები ვლადიმერ, ნიკოლოზ, რძალი ელენე რატიშვილები იუწყებიან საყვარელ **ალექსანდრა ალექსანდრეს-ასულ ხახანაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 22/X 4½ ს. კალინინის, 86. 3524

ჯანსახკომის სამეცნიერო-კვლევითი ფსიქიატრიული ინსტიტუტი და რესპუბლიკური ფსიქო - ნევროლოგიური დისპანსერი იუწყებიან, რომ 24/X 1½ ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია დოცენტ ი. გობრონიძის მეუღლის **ექიმ ნუნუ ლორთქიფანიძე-გობრონიძის** პანაშვიდი. 2525

კოტე და კაკი გობრონიძეები იუწყებიან, რომ 24/X 1½ ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარი რძლის **ექიმ ნუნუ ლორთქიფანიძე-გობრონიძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 2526

მაზლი მიშა, რძალი მარო, მული თამარ ჯანელიძეები, ბიძაშვილი თამარ გამსახურდია შვილით იუწყებიან რძლის **კუკური ეფრემიძე-ჯანელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 21/X. 3527

მეუღლე ვლადიმერ, გაზრდილი აგრაფინა, რძლები და მაზლიშვილები კვინიკაძეები იუწყებიან, რომ 24/X ქ. ზესტაფონში დანიშნულია დაუვიწყარ **ოლინკა კვინიკაძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 3529

თამარ, გოგი მახარაძეები შვილებით არჩილითა და ირაკლით იუწყებიან **კალისტრატე (კალე) გერასიმეს-ძე ჭანიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 22/X 4½ ს. ვარდისუბნის, 3. 3530

მეუღლე ბარბალე, შვილები მარია, მართიკა ქმარშვილით, ბესიკა, გოგია ცოლშვილით, და ქეთო, ქეთო იაშვილი მეუღლით იუწყებიან, რომ ქ. თელავში გარდაიცვალა **ვასილ ზებარიონის-ძე საყვარელიძე** დაკრძალვა 23/X. 3539

მშობლები ნინო, მიხეილ თაქთაქიშვილები, მეუღლე კოტე ფარისაშვილი, დები ელისაბედ, ხინო, ძმები შალვა, გიორგი ოჯახებით იუწყებიან **მარიამ თაქთაქიშვილი-ფარესაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/X 6½ ს. გამოსვენება 23/X 4 ს. შიო მღვიმელის შესახვევი, 8. 3531

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტ.—3-77-70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1769